პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 19 აგვისტო, 1942 წ. № 195 (6511). ფასი 15 კაპ.

„ჩვენი ომი ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის შეერთვის ევროპისა და ამერიკის ხალხთა ბრძოლას მათი დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიულ თავისუფლებათათვის. ეს იქნება ერთიანი ფრონტი ხალხებისა, რომელნიც იცავენ თავისუფლებას ჰიტლერის ფაშისტური არმიების მიერ დამონების წინააღმდეგ და დამონების საფრთხის წინააღმდეგ“.

(ამხანაგ სტალინის მიერ 1941 წლის 3 ივლისს რადიოთი წარმოთქმული სიტყვიდან)

დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში

დღეს ქვეყნდება ინგლის-საბჭოთა კავშირის კომუნიკე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ ჩერჩილისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინის მოლაპარაკების შესახებ. ამ მოლაპარაკებაში, რომელიც მოსკოვში სწარმოებდა, მონაწილეობას იღებდა ბ-ნი ჰარიმანი, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის წარმომადგენელი. საუბრებში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ვ. მ. მოლოტოვმა, მარშალმა კ. ე. ვოროშილოვმა — საბჭოთა კავშირის მხრივ, ბრიტანეთის ელჩმა სერ ა. კლარკ კერმა, იმპერიის გენერალური შტაბის უფროსმა სერ ა. ბრუკმა და ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალთა სხვა პასუხისმგებელმა წარმომადგენლებმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივმა მოადგილემ სერ ალექსანდრ კადოგანმა—ინგლისის მხრივ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ი. ბ. სტალინისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ უ. ჩერჩილის შეხვედრას დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. იგი ფრიად მნიშვნელოვანი ნიშანსვეტია იმ თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ძალების შემდგომი დარაზმვის გზაზე, რომელნიც თავიანთ სიცოცხლეს, ღირსებასა და თავისუფლებას იცავენ ჰიტლერელი ყაჩაღებისაგან. ეს შეხვედრა დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს საბჭოთა კავშირსა, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მჭიდრო თანამეგობრობისა და ურთიერთგაგების შემდგომს განვითარებაში მათ შორის არსებული მოკავშირეობის ურთიერთობის სრული შესაბამისობით.

სამი დიდი სახელმწიფო, რომელნიც სათავეში უდგანან ანტიჰიტლერულ კოალიციას, დაკავშირებულია ჰიტლერის ყაჩაღური იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლით. ეს ერთობლივი ბრძოლა ნაკარნახევია თავისუფლებისმოყვარე სახელმწიფოთა და ხალხთა საარსებო სასიცოცხლო ინტერესებით.

ჯერ კიდევ 1941 წლის 22 ივნისს, საბჭოთა კავშირზე ჰიტლერული გერმანიის ვერაგული თავდასხმის დღეს, ბ-ნმა ჩერჩილმა სიტყვა წარმოსთქვა რადიოთი ინგლისისა და საზღვარგარეთისათვის, რომელშიც განაცხადა, რომ „რუსეთის საფრთხე წარმოადგენს ჩვენს საფრთხეს და ამერიკის შეერთებული შტატების საფრთხეს, ისე როგორც თავისი მიწა-წყლისა და სახლკარისათვის მებრძოლი თითოეული რუსის საქმე წარმოადგენს თავისუფალი ადამიანებისა და თავისუფალი ხალხების საქმეს დედამიწის ყველა ნაწილში“.

1941 წლის 3 ივლისს რადიოთი წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა სთქვა: „ჩვენი ომი ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის შეერთვის ევროპისა და ამერიკის ხალხთა ბრძოლას მათი დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიულ თავისუფლებათათვის. ეს იქნება ერთიანი ფრონტი ხალხებისა, რომელნიც იცავენ თავისუფლებას ჰიტლერის ფაშისტური არმიების მიერ დამონების წინააღმდეგ და დამონების საფრთხის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით დიდი ბრიტანეთის პრემიერის ბ-ნ ჩერჩილის ისტორიული გამოსვლა საბჭოთა კავშირისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დეკლარაცია, რომ იგი მზად არის დახმარება გაუწიოს ჩვენს ქვეყანას, — რასაც საბჭოთა კავშირის ხალხთა გულში მხოლოდ მადლობის გრძნობა შეუძლია გამოიწვიოს, — სავსებით გასაგები და საგულისხმოა“.

უკვე მეორე წელია სისხლისმღვრელი ბრძოლები სწარმოებს ჩვენი სამშობლოს ველებზე. უკვე მეორე წელია საბჭოთა კავშირი უმკლავდება ჰიტლერის და ევროპაში მის თანამონაწილეთა სამხედრო მანქანის მთავარი ძალების მოწოლას, მტრის ადამიანთა რეზერვებისა და საბრძოლო ტექნიკის თითქმის მთელი მასის შემოტევას. გმირული წინააღმდეგობა, რომელსაც საბჭოთა ხალხი და მისი წითელი არმია გერმანელ ფაშისტ დამპყრობებს უწევენ, მთელი პროგრესიული კაცობრიობის აღტაცებას იწვევს.

ომის მსვლელობაში განმტკიცდა მეგობრული კავშირი საბჭოთა კავშირსა, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. უკვე 1941 წლის 12 ივლისს დაიდო ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმება ერთობლივი მოქმედების შესახებ გერმანიის წინააღმდეგ ომში. 29 სექტემბერს—1 ოქტომბერს მოსკოვში შესდგა სამი დიდი სახელმწიფოს — სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომლის მუშაობაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო ამხანაგმა სტალინმა. ამ კონფერენციამ ცხადჰყო, რომ სამ დიდ სახელმწიფოს შორის სრული ერთსულოვნობა და მჭიდრო თანამშრომლობა არსებობს მათს საერთო ღონისძიებებში ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა საერთო მტერზე გამარჯვების მისაღწევად. 1941 წლის დეკემბერს მოსკოვში სწარმოებდა მოლაპარაკება, ერთი მხრივ, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინსა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვ. მ. მოლოტოვსა, და მეორე მხრივ, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ანტონი იდენს შორის. დასასრულ, 1942 წლის მაის-ივნისში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მ. მოლოტოვი მოლაპარაკებას აწარმოებდა ლონდონსა და ვაშინგტონში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ ჩერჩილთან და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბ-ნ რუზველტთან. როგორც ვიცით, ეს მოლაპარაკება იმით დაგვირგვინდა, რომ სსრ კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება ჰიტლერული გერმანიის და ევროპაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ომში მოკავშირეობის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე, ხელმოწერილ იქნა შეთანხმება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის იმ პრინციპების შესახებ, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნას აგრესიის წინააღმდეგ ომის წარმოებაში ურთიერთდახმარებისას, აგრეთვე მიღწეულ იქნა სრული თანხმობა ევროპაში 1942 წელს მეორე ფრონტის შექმნის გადაუდებელი ამოცანების შესახებ. ამ შედეგებს უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა საზოგადოებრივი აზრი როგორც საბჭოთა კავშირში, ისე დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინსა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ ჩერჩილს შორის მოსკოვში წარმოებული მოლაპარაკება, უეჭველია, შემდგომს ნაბიჯს მოასწავებს ანტიჰიტლერული ფრონტის ძალების დარაზმვის საქმეში. სსრ კავშირის და დიდი ბრიტანეთის პოლიტიკის ხელმძღვანელთა შორის წარმოებული საუბრები გულითადსა და სრულიად გულწრფელ ატმოსფეროში მიმდინარეობდა. მოლაპარაკების შედეგად მიღებულ იქნა მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რომლებიც შეეხება ჰიტლერული გერმანიისა და ევროპაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ომს. როგორც კომუნიკეში არის აღნიშნული, ორივე მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მთელი ძალღონითა და ენერგიით აწარმოოს ეს სამართლიანი განმათავისუფლებელი ომი ჰიტლერიზმისა და ყოველგვარი მსგავსი ტირანიის საბოლოო მოსპობამდე.

დამთავრებული მოლაპარაკების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებანი მოწმობენ ანტიჰიტლერული კოალიციის ძალთა შემდგომს დარაზმვას გერმანელ ფაშისტ დამპყრობებთან ბრძოლაში. ფაშისტურ გერმანიას და მის ვასალებს როგორც ცეცხლის, ისე ეშინიათ გერმანელ ფაშისტ ყაჩაღთა და ევროპაში მათ თანამონაწილეთა წინააღმდეგ წარმოებულ ომში ანტიჰიტლერული ბლოკის სახელმწიფოთა გაერთიანებული და ენერგიული მოქმედებისა. ამხანაგ სტალინისა და ბ-ნ ჩერჩილის მოლაპარაკების კეთილსასურველი დამთავრება ჰიტლერული გერმანიის დიდ პოლიტიკურ დამარცხებას ნიშნავს.

მტერი მთელ თავის ძალ-ღონეს ძაბავს, მან ცოცხით მოხვეტა მთელი თავისი რეზერვები და გააშიშვლა თავისი ფრონტის სხვა სავენი ადგილები ევროპაში, რათა წარმატებას მიაღწიოს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. დაჭრილი მხეცის გააფთრებით მოისწრაფვის იგი ჩვენი ქვეყნის სიღრმეში. საბჭოთა მეომრების გმირობა და თავდადებულობა გზას უღობავს ჰიტლერელთა ბანდებს, რომელთაც სიკვდილი და ნგრევა მოაქვთ. ჰიტლერული გერმანიის და ევროპაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ომში ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოთა ღონისძიებების გაერთიანება, ურყევი გადაწყვეტილება — მთელი ძალ-ღონითა და ენერგიით აწარმოონ ეს სამართლიანი განმათავისუფლებელი ომი ჰიტლერიზმისა და ყოველგვარი მსგავსი ტირანიის საბოლოო მოსპობამდე— ჩაფუშავს მტრის ყველა გეგმასა და ვარაუდს, მოაახლოვებს ჩვენი გამარჯვების ჟამს.

„პრავდის“ მოწინავე, 18/VIII.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე სამი თვის ბრძოლების შედეგები

(15 მაისიდან 15 აგვისტომდე)

წითელი არმია ეწეოდა და ამჟამადაც ეწევა ვორონეჟის რაიონში, დონის მოსახვევში და სამხრეთში განუწყვეტელ სისხლისმღვრელ ბრძოლებს შემომტევ გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ. ამ ბრძოლებს მეტად გააფთრებული ხასიათი აქვს.

ზაფხულის დამდეგისათვის გერმანიის სარდლობამ ფრონტის სამხრეთ უბნებზე თავი მოუყარა დიდძალ ჯარებს, ათასობით ტანკებსა და თვითმფრინავებს. მან მთლად მოხვეტა ბევრი გარნიზონი საფრანგეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში. მხოლოდ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში იქიდან საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გადმოყვანილ იქნა 22 დივიზია, მათ შორის ორი სატანკო დივიზია, ადრე გადმოყვანილი დივიზიები რომ არ ვიანგარიშოთ. ვასალურ ქვეყნებში—იტალიაში, რუმინეთში, უნგრეთში, სლოვაკიაში ჰიტლერმა მობილიზაცია უყო 70-მდე დივიზიასა და ბრიგადას, გარდა ფინეთის ჯარებისა ჩრდილოეთში, და ისინი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტს მოაყარა. ჰიტლერელები მუქარითა და მოსყიდვით მოქმედებენ და რაზმებს ადგენენ აგრეთვე დამნაშავეთა და სხვისი ქონების მოყვარულთაგან საფრანგეთში, ბელგიაში, დანიაში, ჰოლანდიაში, ესპანეთში. გარდა ამისა, ჰიტლერელებმა იძულებითი მობილიზაცია ჩაატარეს პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში. გერმანელებმა შეაგროვეს მთელი ეს ხარკი ჯარისკაცებისა, აგრეთვე თავი მოუყარეს მთელს თავიანთ მთავარ ძალებსა და რეზერვებს და სამხრეთ უბანზე მნიშვნელოვანი სიჭარბე შექმნეს ჯარებისა და ტექნიკის რაოდენობის მხრივ, სერიოზულად შეავიწროეს ჩვენი ჯარები და ხელთ იგდეს საბჭოთა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი მთელი რიგი რაიონები და ქალაქები. გერმანელმა ფაშისტმა ოკუპანტებმა დონის რაიონში და ყუბანზე დაიპყრეს დიდი ტერიტორია და მრეწველობის მხრივ მნიშვნელოვანი ქალაქები — ვოროშილოვგრადი, ნოვოჩერკასკი, შახტი, როსტოვი, არმავირი, მაიკოპი. თუმცა გერმანელების მიერ დაკავებული რაიონების მოსახლეობის დიდი ნაწილი ევაკუირებულ იქნა, პური და ქარხნების მოწყობილობა გამოზიდულია, ხოლო ნაწილობრივ მოსპობილია უკანდახევისას, საბჭოთა კავშირმა ამ ხნის განმავლობაში მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი ნახა.

მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგემ ბრძოლაში გამოიყვანა ადამიანთა მთელი თავისი ძირითადი რეზერვები და უდიდესი რაოდენობის ტექნიკა, გერმანელთა შეტევითი ოპერაციები ვითარდებოდა მხოლოდ ვორონეჟისა და სამხრეთის მიმართულებებით, ამასთან გაცილებით უფრო ნელა, ვიდრე ეს ომის პირველ პერიოდში ხდებოდა. საკმარისია ითქვას, რომ ვორონეჟის უბანზე გერმანელები ერთსა და იმავე ადგილას სტკეპნიან აგერ თვენახევარია, ამავე დროს ამ უკანასკნელ ხანს ფრონტის ამ უბანზე ზოგიერთ ადგილას ინიციატივა საბჭოთა ჯარებმა იგდეს ხელთ. დონის მოსახვევში მთელი რიგი კვირეების განმავლობაში წითელი არმია გერმანელ ფაშისტთა ჯარების გააფთრებულ იერიშებს იგერიებს და მტრის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას ანადგურებს. და მხოლოდ სამხრეთში გერმანელებმა უდიდესი ზარალის ფასად მოახერხეს მნიშვნელოვნად წამოეწიათ წინ. რაც შეეხება სხვა ფრონტებს, გერმანელთა ჯარებმა არა თუ ვერ შესძლეს შეტევითი ოპერაციები ეწარმოებინათ იქ, არამედ, პირიქით, ბრიანსკის, დასავლეთის, კალინინისა და ჩრდილო-დასავლეთის ფრონტებზე აქტიურ საბრძოლო მოქმედებას საბჭოთა ჯარები ეწევიან და ამ ბრძოლებში ათეულ ათასობით ჟლეტენ გერმანელებს.

გააფთრებული ბრძოლების განვლილ თვეებში საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე წითელმა არმიამ შეუპოვარ ბრძოლებში უდიდესი ზარალი მიაყენა გერმანელ, იტალიელ, რუმინელ და უნგრელ დამპყრობთა ჯარებს ადამიანებისა და საბრძოლო ტექნიკის მხრივ.

ამა წლის ზაფხულში 3 თვის აქტიური საბრძოლო მოქმედების დროს, 15 მაისიდან 15 აგვისტომდე, გერმანელებმა 1.250.000 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს, აქედან მოკლულთა სახით სულ ცოტა 480.000. გარდა ამისა, მათ დაჰკარგეს 3.390 ტანკი, 4.000-მდე ქვემეხი ყველა ყალიბისა და სულ ცოტა 4.000 თვითმფრინავი.

საბჭოთა ჯარების დანაკლისი 15 მაისიდან 15 აგვისტომდე შეადგენს: 606.000 კაცს მოკლულთა, დაჭრილთა და უკვალოდ დაკარგულთა სახით, 2.240 ტანკს, ყველა ყალიბის 3.162 ქვემეხს, 2.198 თვითმფრინავს.

ჰიტლერელთა ხროვა ტლანქი ნაყალბევითა და სასაცილო მონაჭორი ამბებით კვლავ ცდილობს დაჰფაროს თავისი ზარალი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე.

ჰიტლერელები, რომელნიც ნაყალბევის კეთებაში გავარჯიშდნენ, თავბრუდამხვევ ცრუ ციფრებს ათამაშებენ. ასე, მაგალითად, ა. წ. 12 აგვისტოს გერმანელებმა გამოაქვეყნეს ცნობა წლევანდელი გაზაფხულ-ზაფხულის ბრძოლების შედეგთა შესახებ. ჰიტლერელები ამტკიცებენ, თითქოს გერმანელთა ჯარებს ამ პერიოდის განმავლობაში წაეყვანოთ 1.044.241 ტყვე, ხელთ ეგდოთ ან მოესპოთ 10.131 ქვემეხი, 6.271 ტანკი და 6.056 თვითმფრინავი. საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს მიერ წითელი არმიის დანაკლისის შესახებ გამოქვეყნებული ფაქტიური ცნობები პირწმინდად უარჰყოფენ ჰიტლერელთა ცრუ ცნობებს. ჰიტლერისა და ევროპაში მის მოკავშირეთა არმიებს უდიდესი ზარალი მოსდით. სწორედ ამით აიხსნება, თუ რატომ ჩმახავს გერმანელთა სარდლობა ასეთს უმაგალითო სისულელეს საბჭოთა დანაკლისის შესახებ და იმავე დროს გულმოდგინედ ჰფარავს თავისი საკუთარი ჯარების ზარალს. უცნაური საქმეა. ჰიტლერელები საბჭოთა დანაკლისის გამოთვლას ვითომდა უკლებლივ ახერხებენ, თავიანთი ზარალის შესახებ კი, რომელსაც ისინი გაცილებით უკეთ ხედავენ, დაჟინებით სდუმან, თითქოს პირში წყალი დაიგუბესო. ამავე დროს კი გერმანელთა ეს ზარალი ამ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ნელა, მაგრამ განუხრელად ამზადებს ნიადაგს გერმანელთა ჯარების მომავალი განადგურებისათვის.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

18 აგვისტოს დილის ცნობა

17 აგვისტოს ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის წინააღმდეგ კლეტსკაიას სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, კოტელნიკოვოს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, აგრეთვე მინერალური წყლებისა და კრასნოდარის რაიონებში.

ფრონტის სხვა უბნებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

კლეტსკაიას სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში ჩვენი ჯარები დაძაბულ მოგერიებით ბრძოლებს განაგრძობდნენ. მტერს დიდ ზარალს აყენებს საბჭოთა არტილერია. რამდენიმე დღის ბრძოლების განმავლობაში ერთი ქვეგანაყოფის არტილერისტებმა მოსპეს გერმანელთა ხუთ ასეულამდე ქვეითი ჯარი, 12 ქვემეხი მომსახურე პერსონალიანად, 4 ნაღმსატყორცნი ბატარეა და სათვალთვალო პუნქტი. № მსროლელი ნაწილის მებრძოლები შეუპოვარ ბრძოლებს ეწევიან მტრის ჭარბ ძალებთან, რომელნიც სოლივით შემოიჭრნენ ჩვენს თავდაცვაში. დღე-ღამის განმავლობაში მათ მტრის ოთხი იერიში მოიგერიეს და 1.500-ზე მეტი ჰიტლერელი დახოცეს.

* * *

კოტელნიკოვოს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, ერთ დასახლებულ პუნქტთან ბრძოლაში განადგურებულია რუმინელთა ქვეითი ჯარის ბატალიონი. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს დავლა, წამოიყვანეს ტყვეები. სხვა უბანზე № ნაწილმა 300-ზე მეტი ჰიტლერელი გაჟლიტა. არტილერიის ცეცხლით დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 6 ტანკი.

* * *

კრასნოდარის რაიონში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის ტანკებთან და მოტოქვეით ჯართან. ერთ უბანზე ჩვენმა არტილერისტებმა და ჯავშანსაწინააღმდეგოებმა მტრის იერიში მოიგერიეს. დაზიანებულია 12 ტანკი. სხვა უბანზე № ნაწილის ტანკისტებმა სასტიკ ბრძოლაში 600-მდე ჰიტლერელი დახოცეს და მტრის 20 ტანკი მოსპეს.

მინერალური წყლების რაიონში ჩვენი ნაწილები მტრის ჯარების იერიშებს იგერიებდნენ.

* * *

ჩრდილოეთ-დასავლეთის ფრონტზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები იყო. იმ ნაწილებმა, რომელთაც ამხ. სვირიდოვი მეთაურობს, რამდენიმე იერიში მიიტანეს და ზარალი მიაყენეს გერმანელებს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. წითელარმიელებმა ლატკინმა და ვასილიევმა მტრის ბლინდაჟებზე იერიშის მიტანის დროს 14 გერმანელი გაჟლიტეს. უფროსმა სერჟანტმა დოგადინმა ტანკსაწინააღმდეგო თოფით ჩამოაგდო გერმანელთა სატრანსპორტო თვითმფრინავი „იუნკერს-52“.

* * *

ბრიანსკის პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადააგდეს რკინიგზის სამი ეშელონი მტრის ცოცხალძალიანად და ტექნიკიანად. ერთერთ გზატკეცილზე პარტიზანებმა ხიდი დასწვეს. ამასთან დაკავშირებით შეჩერდა მტრის ავტოტრანსპორტის მიმოსვლა.

* * *

გერმანელთა 227-ე ქვეითი პოლკის მე-14 ასეულის ტყვედ წამოყვანილმა ობერ-ეფრეიტორმა რუდოლფ ციგლერმა განაცხადა: „ამ უკანასკნელ ხანს ოფიცრები გვეუბნებოდნენ, რომ არის სარდლობის ბრძანება, რომელიც წინადადებას აძლევს ნაწილთა მეთაურებს ადგილობრივ იშოვნონ სურსათი ჯარისკაცთა მოსამარაგებლად. ამასთან ოფიცრები აღნიშნავდნენ, რომ გერმანიას, სადაც მოხმარების ნორმები თვედათვე მცირდება, არ შეუძლია ფრონტის მომარაგება. პირიქით, სარდლობა მოითხოვს, რომ ფრონტმა მოამარაგოს ზურგი პურით, ხორცით და სხვა პროდუქტებით. ასეთი საუბრების შემდეგ დაიწყო მოსახლეობის კიდევ უფრო გაძლიერებული ძარცვა. სპეციალურად გამოყოფილი ჯგუფები დაძვრებიან სოფელ-სოფელ და ყველაფერი მიაქვთ, რაც კი ხელში მოხვდებათ“.

* * *

კრაკოვის რაიონში მოქმედმა პოლონელთა პარტიზანულმა რაზმმა 70 ჰიტლერელი გაჟლიტა. კრაკოვ-მეხუვის ხაზზე პარტიზანებმა სამ ადგილას აჰყარეს რკინიგზის ლიანდაგი. მატარებლების მიმოსვლა ამ უბანზე შეწყვეტილი იყო ორი დღის.

18 აგვისტოს საღამოს ცნობა

18 აგვისტოს განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან კლეტსკაიას სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, კოტელნიკოვოს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, აგრეთვე პიატიგორსკისა და კრასნოდარის რაიონებში.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

17 აგვისტოს განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილების მიერ სხვადასხვა უბნებზე მოსპობილია ან დაზიანებულია გერმანელთა 30-მდე ტანკი და ჯავშნიანი მანქანა, 200-ზე მეტი ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, 6 ავტოცისტერნი საწვავი, აფეთქებულია საომარ მასალათა საწყობი და საწვავის საწყობი, ჩახშობილია საველე და საზენიტო არტილერიის 20 ბატარეის ცეცხლი, ჩაძირულია ერთი კატერი, გაფანტულია და ნაწილობრივ მოსპობილია მტრის ორ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

კლეტსკაიას სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში ჩვენი ჯარები დაძაბულ თავდაცვით ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის ტანკებსა და ქვეითს ჯართან. 6 შენაერთის უბანზე გერმანელთა დიდი ძალები შეტევაზე გადმოვიდნენ. სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ, რომლის მსვლელობაში მოსპობილია გერმანელთა 10 ტანკი და 800-მდე ჰიტლერელი, ჩვენმა ნაწილებმა ახალ თავდაცვით ზღუდეებზე გადმოინაცვლეს. სხვა უბანზე ჩვენი მსროლელთა ნაწილი ბრძოლას განაგრძობდა მოწინააღმდეგის ჭარბ ძალებთან, რომლებიც სოლივით შემოიჭრნენ ჩვენს თავდაცვაში. მოსპობილია გერმანელთა 4 ტანკი და 700-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

კოტელნიკოვოს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის შეტევაზე გადმოსულ ჯარებთან. დასახლებულ პუნქტ ზ-ს ახლოს მოხდა სასტიკი ბრძოლა, რომლის შედეგად გერმანელებმა მარტო მოკლულთა სახით 600-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს. თავმოყრილ მტერზე ჩვენი არტილერიის უეცარი ცეცხლით თავდასხმით მოსპობილია 8 ტანკი და 20 ავტომანქანა ქვეით ჯარიანად.

* * *

კრასნოდარის რაიონში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის დაჯგუფებასთან, რომელმაც მდინარე ყუბანი გადმოლახა. 6 ქვეგანაყოფი კონტრიერიშზე გადავიდა და ჰიტლერელთა ბატალიონი გაანადგურა. დაზიანებულია გერმანელთა 4 ტანკი.

* * *

პიატიგორსკის რაიონში საბჭოთა ჯარები იგერიებდნენ მტრის სასტიკ იერიშებს. მარტო ერთ უბანზე დახოცილია მოწინააღმდეგის 300-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ვორონეჟის სამხრეთით ჩვენი ნაწილები შეუპოვარ ბრძოლებს ეწეოდნენ მტერთან დასახლებულ პუნქტ კ-ს ქუჩებში. ჰიტლერელებს ამ ბრძოლებში დიდი ზარალი მოუვიდათ ცოცხალი ძალის სახით. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ვოლხოვის ფრონტზე მზვერავი რაზმების აქტიური მოქმედება იყო. უფროს ლეიტენანტ ნაუმ პრესის ქვეგანაყოფის მებრძოლები გერმანელთა მიწურ საცეცხლე წერტს მიეპარნენ. წითელარმიელმა კორნეევმა ამბრაზურიდან ამოჰგლიჯა ტყვიამფრქვევი და მიწურ საცეცხლე წერტში გრანატი შეაგდო. სხვა მზვერავებმა სროლა ასტეხეს და გაქცეული გერმანელები დახოცეს. 8 მზვერავი უფროს ლეიტენანტ ივანოვის მეთაურობით ტყეში 25 ჰიტლერელს შეხვდა. ჩვენმა მებრძოლებმა ავტომატების ცეცხლით დახოცეს 24 გერმანელი, ერთი გერმანელი ჯარისკაცი კი ტყვედ წამოიყვანეს.

* * *

ვიტებსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ამხ. კ-ს მეთაურობით ივლისის განმავლობაში გაჟლიტა 106 ჰიტლერელი, დაანგრია 8 ხიდი და დასწვა გერმანელ ოკუპანტთა რამდენიმე საწყობი. ამ რაზმის პარტიზანებმა ტყვიამფრქვევები და ავტომატები დაუშინეს მტრის 5 სარკინიგზო მატარებელს ცოცხალ ძალიანად.

* * *

გერმანელთა 336-ე ქვეითი დივიზიის 685-ე პოლკის მე-2 ასეულის ჯარისკაცმა ფრანც რაინვოლდმა განაცხადა: „ჩვენი დივიზია საფრანგეთში—ნანტსა და რენში იმყოფებოდა. ფრანგ მოსახლეობას სძულს გერმანელები და მხოლოდ შემთხვევას ელოდება, რათა შური იძიოს ჩვენზე. სწორედ ამიტომ ზოგიერთი ოფიცერი და ჯარისკაცი ფიქრობდა, საფრანგეთს ისე უნდა ვუცქეროდეთ, როგორც ფრონტს, რომელიც, დღეს თუ არა, ხვალ დიდ ძალასა და მსხვერპლს მოითხოვსო. 1942 წლის ივნისში ჩვენ აღმოსავლეთის ფრონტზე წამოვედით. რუსეთში ჩვენი დივიზიის გამოგზავნამ გაკვირვება და უკმაყოფილება გამოიწვია. ამასთან ბევრს პირადი მოსაზრება ამოქმედებდა. არავის არ სურდა საფრანგეთიდან წასვლა, კარგი წყნარი ცხოვრების დატოვება და რუსეთში აუცილებელ სასიკვდილოდ წასვლა“.

* * *

ვორონეჟის ოლქის დაბა ბოლშაია ვერეიკადან გერმანელთა განდევნის შემდეგ, ნ. ნაწილის მებრძოლთა და მეთაურთა ჯგუფმა ხევში აღმოაჩინა ჰიტლერელთა მიერ მხეცურად ნაწამებ წითელარმიელის გვამი. ჰიტლერელ მტარვალებს არაადამიანური წამება მიუყენებიათ ტყვისათვის. მათ დაუჭრიათ წითელარმიელისათვის ყურები, ცხვირი, ტუჩები, თავის ქალაზე ტყავი აუძვრიათ და გვამი ხევში გადაუგდიათ.

* * *

კურტრეს (ბელგია) სართავ ფაბრიკაში პატრიოტებმა ცეცხლი წაუკიდეს საწყობებს. ცეცხლმა მოსპო 150-მდე ტონა ნართი, რომელიც გერმანიაში უნდა გაეგზავნათ.

უ. ჩერჩილისა და ი. ბ. სტალინის მოლაპარაკებაზე გამოხმაურება ინგლისში

ლონდონი, 18 აგვისტო (საკდესი). ცნობა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ უ. ჩერჩილის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის მოლაპარაკების შესახებ ინგლისური პრესის ყურადღების ცენტრშია და ცენტრალური ადგილი უჭირავს რადიოგადაცემებში. კომუნიკე მოლაპარაკების შესახებ გამოქვეყნებულია დილის გაზეთებში ყველაზე თვალსაჩინო ადგილას. გაზეთები ბეჭდავენ აგრეთვე ჩერჩილისა და ჰარიმანის განცხადებებს, რომლებიც ჩაწერილია აფსკზე, და ჩერჩილის მიერ ი. ბ. სტალინისათვის გაგზავნილ დეპეშას. გაზეთები ვრცელ მოწინავე სტატიებს უძღვნიან მოსკოვის მოლაპარაკებას.

გაზეთი „ტაიმსი“ სწერს: „ჩერჩილის გამგზავრებას რუსეთის მთავრობა და რუსი ხალხი შეაფასებს, როგორც ამის ფრიად მნიშვნელოვან სიმბოლოს, რომ ინგლისის მთავრობა და ინგლისელი ხალხი ასავსენი არიან ერთი მისწრაფებით—ეფექტიური დახმარება გაუწიონ მათ დამპყრობისათვის წინააღმდეგობის გაწევის საქმეში და რაც შეიძლება ჩქარა გაუწიონ ეს დახმარება.

სტალინი და ჩერჩილი ისეთი ადამიანები არიან, რომელთაც არ ეშინიათ თვალი გაუსწორონ სიძნელეებს. ურთიერთგაგებისა და ნდობის პირადი ურთიერთობის დამყარებას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ იგი მოკავშირეთა სტრატეგიას ისეთს შეთანხმებულობასა და სიმტკიცეს ანიჭებს, რაც მიღებული და შედგენილი გეგმის დამახასიათებელია.

რუსეთმა დიდი ზარალი ნახა როგორც სამხედრო, ისე ტერიტორიული და ეკონომიური. მის მამაც არმიებზე შეტევის შესასუსტებლად მას ესაჭიროება რაც შეიძლება ჩქარა ყოველგვარი დახმარება, რომლის გაწევაც მისთვის შეუძლიათ მის მეგობრებს, და ყოველგვარი ღონისძიებანი, რაც მათ ძალუძთ. ამ პირობებში აუცილებლად საჭიროა, რომ მოქმედებას, რომლის დაწყებაც შეიძლება ძალიან მალე მოგვიხდეს, ხელი არ შეეშალოს არც ყოყმანით, არც გაუგებრობით. ჩერჩილისა და სტალინის შეხვედრა უზრუნველჰყოფს, რომ ყოველივე ნაკლთქმულობა, რასაც აქამდე შეეძლო ბუნდოვანება შეეტანა სამხედრო მდგომარეობაში, აცილებულ იქნას, და რომ ორივე ქვეყანამ შესძლოს მტკიცე რწმენით ერთად შეხვდნენ ომის ყველაზე კრიტიკულ თვეებს“.

გაზეთი „ნიუს ქრონიკლი“ სწერს: „საეჭვოა, რომ შეიძლებოდეს რაიმე ცნობის მიცემა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ. როცა მოქმედება დაიწყება, იგი თვითონ ამეტყველდება თავის თავზე. მაგრამ ჩვენ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ კონფერენციის გადაწყვეტილებანი მიღებულია წინათ მიღწეული შეთანხმების სულისკვეთებით—მოეწყოს საყოველთაო შეტევა გერმანიაზე, როგორც კი გარემოება შესაძლებელს გახდის“.

„დეილი ექსპრესი“ სწერს: „ჩერჩილის რუსეთში გამგზავრებამ უდიდესი სარგებლობა მოუტანა გაერთიანებულ ერებს შორის სრული ურთიერთგაგების საქმეს.

ჩვენ არ ვიცით, რა გადაწყვეტილებებია მიღებული, მაგრამ ცხადია, რომ ინგლისმა და ამერიკამ არა მარტო ყოველგვარი დახმარება უნდა გაუწიონ რუსეთს, რაც მას ესაჭიროება იმისათვის, რომ გამკლავება შესძლოს, არამედ ისინი მზად უნდა იყვნენ იმ დღისათვის, როდესაც ჩვენ ერთად მივიტანთ კონტრიერიშს. ამ განსაცდელის ჟამს რუსეთს იმედი აქვს თავისი მოკავშირეების ძლიერებისა და კეთილი ნებისყოფისა. ჩვენმა ქვეყანამ ვალდებულება იკისრა ყოველივე შესაძლო საშუალებანი გამოიყენოს, რათა დააჩქაროს გამარჯვების ჟამი“.

ყოველკვირეული ჟურნალი „ბრიტანელი მოკავშირე“

რუსულ ენაზე გამოვიდა ილუსტრირებული ყოველკვირეული ჟურნალის „ბრიტანელი მოკავშირის“ პირველი ნომერი. ამ ჟურნალს ქალ. კუიბიშევში სცემს დიდი ბრიტანეთის ინფორმაციის სამინისტრო.

„თავისი მიწა-წყლისა და სახლკარისათვის მებრძოლი თითოეული რუსის საქმე წარმოადგენს თავისუფალი ადამიანებისა და თავისუფალი ხალხების საქმეს დედამიწის ყველა ნაწილში“—უინსტონ ჩერჩილის ეს სიტყვები მოყვანილია პირველ გვერდზე, სადაც მოთავსებულია დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ანტონი იდენისა და დიდი ბრიტანეთის ინფორმაციის მინისტრ ბ-ნ ბრენდონ ბრეკენის მიმართვა მკითხველებისადმი.

„1941 წლის 22 ივნისიდან,—სწერს ანტონი იდენი,—ჩვენ თანამებრძოლი ამხანაგები გახდით. 1942 წლის 26 მაისიდან მოკიდებული ჩვენ საყოველთაო სახალხოდ ვიკისრეთ ვალდებულება ერთობლივად ვიმუშაოთ ევროპაში საერთო მიზნებისათვის სულ მცირე 20 წლის განმავლობაში. ამ უკანასკნელი 20 წლის თქვენი საკუთარი ისტორია მოწმობს, თუ რა ბევრი რამის მიღწევა შეიძლება ასეთ ვადაში.

რადგანაც ბრიტანელ და საბჭოთა ხალხებს უწევიათ ერთობლივი მუშაობა ურთიერთგაგებითა და პატივისცემით, მათ უფრო მეტი უნდა იცოდნენ ერთი-მეორის შესახებ“.

ნომერში მოთავსებულია პირველი საზღვაო ლორდის და საზღვაო შტაბის უფროსის, ფლოტის ადმირალ სერ დედლი პაუნდისა და ბომბდამშენი ავიაციის მთავარსარდლის ავიაციის მარშალ სერ არტურ ჰარისის აზრი.

ნომერში დაბეჭდილია აგრეთვე საზღვაო ოფიცრის ნაამბობი სსრ კავშირში იარაღის გადაზიდვის შესახებ და მფრინავის ნაამბობი გერმანელთა საზღვაო ნავის დატყვევების შესახებ, ინგლისის სამხედრო ქარხნების ცხოვრების სურათები, ნარკვევი „საჰაერო რეიდების შტაბში“ — გერმანიაზე ინგლისის ავიაციის მასირებული თავდასხმების შესახებ, ფოტო-ინფორმაცია ბრიტანეთის არმიის დამკვრელ რაზმთა — სადესანტო ნაწილთა შესახებ—„მეორე ფრონტის ავანგარდის შესახებ“, როგორც ისინი იწოდებიან ფოტოსურათების წარწერებში.

ყოველკვირეული ჟურნალი „ბრიტანელი მოკავშირე“ გამოდის იმ მიზნით, რომ საბჭოთა მკითხველს დაანახვოს ბრიტანელი ხალხის სამხედრო ღონისძიებანი და ცხოვრება ისევე, როგორც „საბჭოთა სამხედრო უწყებანი“, რომელიც ომის პირველი დღეებიდანვე გამოდის ლონდონში, მოუთხრობს ინგლისელ მკითხველს ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის ომზე. (საკდესი).

უკანასკნელი ცნობები

ინგლისის საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოითხოვენ შეტევითს მოქმედებას გერმანიის წინააღმდეგ

ლონდონი, 18 აგვისტო (საკდესი). მთელს ინგლისში ფართოვდება მოძრაობა ევროპაში მეორე ფრონტის შექმნის დასაჩქარებლად.

ხალხმრავალი მიტინგები შესდგა სამხრეთ უელსში—სოუნსში, ნიტსა და ლანელში. სოუნსში გამართულ მიტინგზე გამოიდა ადგილობრივ მუშათა დელეგაციის წარმომადგენელი. იგი პრემიერ-მინისტრის რეზიდენციაში იყო, რათა გადაეცა რეზოლუცია, რომელიც ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის მოთხოვნას შეიცავდა. მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მოუწოდებს მთავრობას მიაღწიოს გარდატეხას ომის მსვლელობაში—დასავლეთში დაუყოვნებლივი გამოსვლის გზით. მიტინგის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან გაიღონ ყოველგვარი მსხვერპლი გამარჯვების მისაღწევად და უმაგალითო ენერგიით იმუშაონ ფრონტისათვის საჭირო იარაღის დასამზადებლად.

ვიგანის სამკერვალო ფაბრიკის მუშა ქალებმა, რომელთა შორისაც სამხედრო მოსამსახურეთა ბევრი ცოლია, გაუგზავნეს პრემიერ-მინისტრ ჩერჩილს დეპეშა, რომელშიც დაჟინებით მოითხოვენ, საჭიროა ევროპაში დაუყოვნებლივ გაიხსნას მეორე ფრონტიო.

თორკშირის სოლქო პროფკავშირული კომიტეტის კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: „ჩვენ, კავშირთა წევრები, მოვითხოვთ ახლავე გაიხსნას მეორე ფრონტი ევროპაში და ვალდებულებას ვკისრულობთ მაქსიმალური დახმარება აღმოვუჩინოთ მას როგორც წარმოებაში, ისე შეიარაღებულ ძალთა რიგებში“.

საქართველოს ტრაქტორისტ ქალთა დაჯილდოება

საქ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა კომისიამ, რომელიც ხელმძღვანელობს ტრაქტორისტ ქალთა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებას, მკერდზე სატარებელი ნიშნებით დააჯილდოვა მოწინავე ტრაქტორისტი ქალები. საქართველოდან დაჯილდოებულთა სიაში არიან: ეკატერინე კვირკველია (ლანჩხუთის მტს-ი), მარიამ გოდუაძე (ქუთაისის მტს-ი), ოსანა არუთინიანი (ახალქალაქის მტს-ი), მარიამ ბოლოკაევა (ლაგოდეხის მტს-ი), ანა შიტუხინა (ულიანოვკის მტს-ი), თამარ ხუცურაული (შირაქის მტს-ი), მარგარიტა აბრამიშვილი (თელავის მტს-ი), მარგარიტა ხითარიშვილი (საგარეჯოს მტს-ი), მარგარიტა ჭიაურელი (საგარეჯოს მტს-ი), ეთერ ტიგინაშვილი (საგარეჯოს მტს-ი), ნინო ტიგინაშვილი (საგარეჯოს მტს-ი), სოფიო კურდღელაშვილი (საგარეჯოს მტს-ი), ეტო ბზუაშვილი (ალაზნის მტს-ი), ეკატერინე ნაცვლიშვილი (ოკამის მტს-ი).

ზრუნვა ფრონტელთა ოჯახებისათვის

სვერდლოვსკის ოლქის ადგილობრივი საბჭოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები დიდ მზრუნველობას იჩენენ სამშობლოს დამცველთა ოჯახებისათვის.

ომის დასაწყისიდან წითელარმიელთა და მეთაურთა 45.000 ბავშვი მოაწყეს საბავშვო ბაგებსა და ბაღებში, ფრონტელთა 20.000-ზე მეტმა ოჯახმა მიიღო ერთდროული ფულადი დახმარება და 15 ათასი ცენტნერი მარცვლეული კოლმეურნეთა ურთიერთდახმარების სალაროებიდან.

ქალაქ სვერდლოვსკში 500-მდე წითელარმიელს ბინა შეუკეთეს, 98 ოჯახს ახალი საცხოვრებელი ბინა მისცეს. მათ სათბობს უმზადებენ ზამთრისათვის. (საკდესი).

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

სპილენძის სატკეცი ქარხნის კოლექტივის წარმატება

თბილისის სპილენძის სატკეცმა ქარხანამ (დირექტორი ამხ. კ. მაღლაკელიძე) ივლისის საწარმოო დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა. ქარხანამ 26 პროცენტით გადააჭარბა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას. ქარხნის კოლექტივმა ისე მოაწყო თავისი მუშაობა, რომ გასულ თვეს წუნის არცერთი შემთხვევა არ ჰქონია. გარდა ამისა, ივლისში სათბობი მასალა ნაცვლად შეჯიბრებით ნაკისრი 3 პროცენტისა 11,9 პროცენტით დაზოგა, ელექტროენერგია ნაცვლად 15 პროცენტისა—33 პროცენტით და ნედლი მასალა ნაცვლად 3 პროცენტისა—4,5 პროცენტით. ივლისში თითოეული მუშის შრომის ნაყოფიერება 25,6 პროცენტით გაიზარდა.

სპილენძის სადნობ-სატკეცმა საამქრომ (უფროსი ამხ. ზ. პეტრიაშვილი) ღუმელის დატვირთვა ნედლი მასალით ისე მოაწყო, რომ თითო დნობაზე ნაცვლად 6 ზოდისა 7 ზოდს ადნობს, ღუმელში სრულიად უმნიშვნელო ადგილიც არა რჩება დაუტვირთავი. საამქროში დიდი სატკეცი დაზგა მუშაობს. ამ დაზგის ერთი მხარე პირველად ტკეცავს აწარმოებს, ბოლო მეორე მხარე საბოლოოდ დამუშავებულ ფურცელს იძლევა. წინათ ორი ბრიგადა ერთდროულად მუშაობდა ორივე მხარეზე, რაც იწვევდა დროის გაცდენას, რადგან დაზგაზე ერთდროულად ორივე ოპერაციის ჩატარება შეუძლებელი იყო. საამქროს ადმინისტრაციამ ყურადღება მიაქცია ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს და ბრიგადების ორცვლიანი მუშაობა შემოიღო. ამან შრომის ნაყოფიერება დიდად გაზარდა. საამქროს მოწინავე ადამიანებმა თვიური დავალება გადამეტებით შეასრულეს: გ. მჭედლიშვილმა—210 პროცენტით, გ. ანთაძემ—182 პროცენტით, ბ. აზობაძემ—157 პროცენტით და სხვ.

საამქროში დიდი ყურადღება ექცევა საწვავი მასალის ეკონომიურად ხარჯვას. აქ ღუმელზე მოაწყეს სპეციალური სასიგნალო ზარი, რომელიც განსაზღვრული ტემპერატურის შემდეგ სიგნალს აძლევს გამხურებელს, რომ შესწყვიტოს მაზუთის მიწოდება. ამ მეთოდმა ქარხანას დიდძალი საწვავი მასალა შეუნარჩუნა.

ქარხნის კოლექტივი გასული თვის მიღწევებით არ დაკმაყოფილდა. ის მიმდინარე თვეს კიდევ უფრო ზრდის თავის საწარმოო მაჩვენებლებს. პირველი დეკადის დავალება მან გადაჭარბებით შეასრულა. დღიურ დავალებებს მტკეცავი ნ. შომახია 170 პროცენტით ასრულებს, მდნობელი მ. დავითაშვილი—205 პროცენტით, დ. კიკნაძე—200 პროცენტით და სხვ.

ქარხნის მთელი კოლექტივი ენერგიულად და ერთსულოვნად იბრძვის, რათა მეტი და მეტი სპილენძი მიაწოდოს სამშობლოს, ფრონტს.

ი. ნინიძე

სოცშეჯიბრებაში დაწინაურებულნი

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ამწყობი და სატენდერო საამქროების სტახანოველები აგვისტოში კიდევ უფრო მეტი ნაყოფიერებით მუშაობენ. ამწყობ საამქროში ახლად ჩამოყალიბებულმა კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი ამხ. ერანოსოვი ხელმძღვანელობს, პირველი დეკადის გეგმა შეასრულა. გარდა ამისა, მეორე დეკადის გეგმის ანგარიშში 2 ორთქლმავალი შეაკეთა და გამზადა ჩასაბარებლად. ამ კომპლექსის ბრიგადებს შორის სოცშეჯიბრებაში კარგი მაჩვენებლები აქვთ ამხ. ათანასოვის და ჩომახიძის ბრიგადებს, რომლებიც ყოველდღიურ გეგმებს 150-180 პროცენტით ასრულებენ. ბუქსებზე მომუშავე და არმატურის შემკეთებელი ბრიგადები აგვისტოში ყოველდღიურად 2-3 ნორმას იძლევიან. შეკეთებული ორთქლმავლების გარდა, ამ ბრიგადებს დამზადებული აქვთ სათადარიგო ნაწილები რამდენიმე ორთქლმავლისათვის.

სატენდერო საამქრომ აგვისტოს პირველი დეკადის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. წინ მიდის კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც ამხ. მკრტიჩიანი ხელმძღვანელობს. ამ კომპლექსმა პირველ დეკადაში 7 ტენდერი შეაკეთა. ბრიგადებს შორის სოცშეჯიბრებაში დაწინაურდნენ შ. ბარდაძის, არაქელოვისა და მარიამ ლუბავინას ბრიგადები, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს 160-180 პროცენტით ანაღდებენ. კარგად მუშაობს ხარატი ამხ. გ. მარტიაშვილი. მან ივლისში 150 პროცენტით შეასრულა თვიური დავალება, ხოლო აგვისტოს პირველ დეკადაში ყოველდღიურად 2 ნორმას ასრულებდა.

ი. სოფრომაძე

მოსავლის აღება ონის რაიონში

ონი („კომუნისტის" კორ.). ზოგიერთ კოლმეურნეობაში დამთავრდა თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. სოფ. სორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ს. ხმალაძე) კარგად იღებს პურეულს. ბარში აღებულია 100 ჰექტარი პური, მკას შეუდგნენ მთაშიც, სადაც პურის კარგი მოსავალია.

საძოვრებიდან გასუქებული მუშა საქონელი ჩამოიყვანეს. თივა აღებულია 70 ჰექტარი, ხოლო თონჯა ორჯერ — 5 ჰექტარზე. მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებაში გამოირჩევიან ი. ბერიშვილის და ი. ჰუმბაშვილის ბრიგადები.

კოლმეურნეობაში მრავალი მოწინავე ადამიანია. მათ შორის ლ. მჭერვალიშვილი, ს. მჭერვალიშვილი, კ. ჰუმბაშვილი, კ. მინდელი, კ. გავაშელი, გულენტი მჭერვალიშვილი, გულენტის, რომელიც 56 წლისაა, ორივე შვილი ფრონტზე ჰყავს, თვითონ კი 160 შრომადღე აქვს გამომუშავებული. კოლმეურნეობაში სიმინდის ნათესებს კარგად უვლიან.

ენერგიულად მუშაობენ აგრეთვე სოფ. ჭელაბარის და გადამშის კოლმეურნეობებში. გადამშში ქერი და პური აღებულია 35 ჰექტარზე. მოსავალი კარგია, თივა აღებულია 70 ცენტნერი. მოსავლის აღებაში წინ მიდიან ხაფო თიბლოშვილის, თადაოზ ნარტყოშვილის და ნაროზა ბაზაშვილის ბრიგადები, ჭელაბარში კი ვ. ნანიშვილისა და ვ. გულდაშვილის ბრიგადები. ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე თავდადებულად მუშაობს. აქ შრომის აღრიცხვა მოწესრიგებულია. ყოველ ხუთ დღიურში ხდება შრომადღეების დარიცხვა და კოლმეურნეთა შრომის წიგნაკებში გადატანა.

დ. კაჭკაჭოვი

ჰიტლერელ არამზადათა მხეცობა

ვოლხოვის ფრონტი, 18 აგვისტო (საკუთარი სპეც. კორესპონდენტისაგან). ნოვგოროდის რაიონის სოფელ კაპუსტინოში პარტიზანებმა ბრძოლა გაუმართეს დამსჯელთა რაზმსა და მოსპეს იგი. სოფელში დარჩენილი დაჭრილი პარტიზანი ამხ. მ. მოწმე იყო იმისა, თუ რა საზიზღრად გაუსწორდა მცხოვრებთ იქ მისული ახალი დამსჯელი რაზმი. გერმანელებმა რამდენიმე ქალიშვილი ჩამოახრჩეს და ერთი თვის განმავლობაში ნებას არავის აძლევდნენ ჩამოეხსნათ მათი გვამები.

სოფელ ნოვინკას, იზეროვნოსა და ხატუვეოში გერმანელებმა დასწვეს ყველა ფარდული, რათა „პარტიზანებს თავშესაფარი აღარ დარჩენოდათ. „სს"-ელები ძალდატანად დარწიან ამ სოფლების გარშემო. გერმანელები მშვიდობიან მცხოვრებთ ხოცავენ და თავის მთავრობას უპატაკებენ, კიდევ ერთი „პარტიზანული რაზმი გავანადგურეთო".

ერთ-ერთ პარტიზანულ რაზმში მივიდა სამხედრო ტყვეთა ბანაკიდან გამოქცეული სამი წითელარმიელი: აფანასიევი, გრიგორიევი და მეკლერი. მათ სთქვეს, რომ გერმანელებმა მეურნეობის მომსახურებისათვის ძალით მოიყვანეს ბანაკში ქალიშვილთა ჯგუფი. ბანაკის მცველი პოლიციელები აუპატიურებენ ამ ქალიშვილებს. ქანცგამოლევისა და წამებისაგან ბანაკში ყოველდღე 70-მდე პატიმარი იხოცება. ახლომახლო სოფლებში გერმანელებმა მოსახლეობას წაართვეს მთელი სურსათის მარაგი.

სოფელ კორისტინში მოღალატე ტერენტიევი, რომელიც გერმანელებმა მამასახლისად დანიშნეს, ადგილობრივ მცხოვრებთ ზომბით სცემს. მოსახლეობა ბალახით იკვებება. სოფელ გლადსა, ზერნისა და მეგნიკში გერმანელებმა მთელი მოსახლეობა ეკლესიასა და კლუბში შეჰყარეს, ყველა სახლი გაძარცვეს და შემდეგ ეკლესიას სროლა აუტეხეს.

გერმანელებმა თითქმის მთლად გადასწვეს სოფლები: გრაფსკაია სლობოდა, ბოლშაია მობუნი და ოსტროვი. სოფელ გორაში ჰიტლერელებმა დაჭრილი სტეფანე აედეევი აბანოში შეაგდეს და შემდეგ აბანოს ცეცხლი წაუკიდეს. სოფელ მიასნოი ბორში მთვრალ გერმანელთა ბრბომ მშობლების თვალწინ გააუპატიურა პიონერი გოგონა ლუსია ს.

ჩუდოვის რაიონის 31 დასახლებულ პუნქტში ოკუპანტებმა დასწვეს 540 საკოლმეურნეო შენობა, გაიტაცეს ათასობით სული საქონელი, მოსახლეობას წაართვეს ფეხსაცმელი და ტანსაცმელი. მოსპობილია ყველა სკოლა, სამედიცინო პუნქტი და კლუბი.

ხ. ალექსეევი

დაძაბული მდგომარეობა საფრანგეთში

შვედური გაზეთი იმის შესახებ, რომ ფრანგი ხალხი მზად არის დაეხმაროს მოკავშირეებს

სტოკჰოლმი, 18 აგვისტო (საკდესი). შვედური გაზეთის „გეტებორგს ჰანდელსტიდნინგის" კორესპონდენტს მოჰყავს ფაქტები, რომლებიც ახასიათებენ უდიდეს ღელვებს, რასაც ადგილი აქვს საფრანგეთში, იმასთან დაკავშირებით, რომ ინგლისსა და ა. შ. შტატებში იზრდება მოძრაობა მეორე ფრონტის შესაქმნელად. კორესპონდენტი სწერს, რომ პარიზიდან ყოველდღე მოდის ცნობები სისტემატურად ჩატარებული ანტიგერმანული დივერსიული აქტების შესახებ, მასობრივი აჯანყების მოწყობის ცდების შესახებ, გერმანელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებზე თავდასხმებისა და ოკუპანტებისათვის სროლის ატეხის შესახებ. აღტყინება, რაც მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს მოედო, უფრო და უფრო ძლიერდება. მდგომარეობა კიდევ უფრო მწვავდება იმასთან დაკავშირებით, რომ ძლიერდება სურსათის ნაკლებობა, დაიხურა ბევრი ქარხანა და მუშები იძულებით იგზავნებიან გერმანიაში, აგრეთვე იმასთან დაკავშირებით, რომ ამას წინათ ჩატარდა მასობრივი დაპატიმრებანი, რომელთა დროსაც ხდებოდა საშინელი სცენები ქმრების, ცოლებისა და ბავშვების ერთმანეთისაგან დაშორებისა.

კორესპონდენტის ცნობაში შემდეგ აღნიშნულია, რომ ეს ვითარება საფრანგეთში გერმანელების შეშფოთებას იწვევს. რათა დააშინონ ფრანგი ხალხი და საშუალება არ მისცენ მხარი დაუჭირონ მოკავშირეთა ჯარებს, ჰიტლერელთა მიერ კონტროლირებულ ფრანგულ გაზეთებში ახლა იბეჭდება წერილები, რომლებშიც ყოველნაირად შეფერადებულია თითქოს სანაპიროზე აგებული გერმანული სიმაგრეები. ამას წინათ პარიზში ჩატარებული პარადი „სს"-ელთა ჯარებისა, სწერს კორესპონდენტი, მის ორგანიზატორთა აზრით, აშკარა გამაფრთხილებელი უნდა გამხდარიყო ფრანგებისათვის: „აქაო-და, არ იფიქროთ, რომ თქვენ შეგიძლიათ დაუსჯელად დაეხმაროთ ჩვენს მოწინააღმდეგეს, თუ იგი კვლავ გამოჩნდება საფრანგეთის ტერიტორიაზე". ვიშის მთავრობაც მიმართავს მოსახლეობას და ემუდარება, იარაღს ხელს ნუ მოჰკიდებო. მაგრამ, მიუხედავად ჰიტლერელთა ყველა ამ მანევრისა, საყოველთაო აღელვება საფრანგეთში ძლიერდება.

კინკლაობა სალაქიოში

რუმინეთ-უნგრეთის შუღლის გამწვავება

ჟენევა, 18 აგვისტო (საკდესი). უკანასკნელ დროს უნგრეთისა და რუმინეთის ურთიერთობა კვლავ უაღრესად გამწვავდა.

ბუდაპეშტის რადიო, უდავოდ სთვლის რა იმ ფაქტს, რომ „მთელ ტრანსილვანიას უნდა მართავდნენ უნგრელები", ხაზგასმით აღნიშნავს: „უნგრელები, მხოლოდ უნგრელები, როგორც არიული რასის წარმომადგენლები, მიიღებენ მონაწილეობას გერმანიასთან ერთად ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილსა და დუნაის აუზში ახალი წყობილების ორგანიზებაში".

ბუდაპეშტის რადიოს ამ განცხადებამ უაღრესი გულისწყრომა გამოიწვია რუმინეთში. რუმინეთის რადიოსადგურმა განაცხადა: „მხეც მადიარებს, რომელთაც თვალი უჭირავთ მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და დუნაის აუზზე, არა თუ უფლება არა აქვთ მონაწილეობა მიიღონ ახალი ევროპის ორგანიზებაში, არამედ იმის უფლებაც კი არა აქვთ, რომ მომავალ საზავო კონფერენციას დაესწრონ". რუმინულმა გაზეთმა „პორუნკა ვრემიიმ" გამოაქვეყნა სტატია „დუნაის პრობლემები", რომელშიც ხაზგასმით აღნიშნავს დუნაის მნიშვნელობას გერმანიისა და რუმინეთისათვის, ამასთან სრულებით გვერდს უვლის უნგრეთსა და იტალიას. გაზეთი იმასაც კი არ ერიდება, რომ მოითხოვოს, რათა ფაქტიურად გადაეცეს გერმანიას რუმინეთის უდიდესი ნავსადგური გალაცი და დუნაის სხვა ნავსადგურები.

ამ სტატიის გამოქვეყნებამ შეშფოთება გამოიწვია როგორც რომში, ისე ბუდაპეშტშიც. უნგრელთა ხელისუფლებამ ამის პასუხად გააძლიერა რეპრესიები ტრანსილვანიის რუმინელი მოსახლეობის წინააღმდეგ. ამას წინათ კლუჟში 300 რუმინელი დააპატიმრეს, რომელთაც ბრალად დასდეს „მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობა". უნგრეთის ყველა პროვინციაში რუმინელთა სხვადასხვა საზოგადოების კუთვნილ შენობათა რეკვიზიციას ახდენენ. თავის მხრივ რუმინეთის პოლიცია მასობრივ დაპატიმრებას ახდენს სამხრეთ ტრანსილვანიის უნგრელ მოსახლეობაში. რუმინეთის საპყრობილეში ჩასვეს 5.800 უნგრელი. რუმინული პრესა გააფთრებულ ანტიუნგრულ პროპაგანდას განაგრძობს.

ჰიტლერი ძალდატანებით ართმევს უნგრეთს „საზარბაზნე ხორცს"

ლონდონი, 17 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ჰიტლერმა აღუთქვა უნგრეთს შეუერთოს მას სლოვაკია, თუ უნგრეთი გაადიდებს სსრ კავშირის წინააღმდეგ ფრონტზე გასაგზავნი ჯარების რიცხვს.

ჰიტლერის ბანაკიდან დაბრუნების შემდეგ უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა კალაიმ უნგრეთის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის დახურულ სხდომაზე განაცხადა, რომ ჰიტლერს ეეჭვება, შეუძლია თუ არა სლოვაკიას იარსებოს, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ. ამის შესაბამისად ჰიტლერმა „შუამავლობა" იკისრა სლოვაკიისა და უნგრეთს შორის, რათა სლოვაკია უნგრეთს შეუერთოს.

სლოვაკიის მარიონეტული მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ტუკამ მოიწონა ჰიტლერის ეს „იდეა", მაშინ როდესაც სლოვაკიის პრეზიდენტმა ტისომ წინააღმდეგ გაილაშქრა. მაგრამ ჰიტლერმა განაცხადა, ტისოს წინააღმდეგობა „სერიოზულ დაბრკოლებად არ უნდა ჩაითვალოსო". კალაიმ აცნობა კომიტეტს, რომ ფრონტზე უნგრელი ჯარების ახალ კონტინგენტთა გაგზავნის საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი, მაგრამ იგი უკვე დათანხმდა დააკმაყოფილოს ჰიტლერის ის მოთხოვნა, რომ უნგრეთის მრეწველობა გერმანიის კონტროლ ქვეშ გადავიდეს და რომ უნგრეთმა კიდევ უფრო გაადიდოს გერმანიისათვის სურსათის ჩაბარება.

იუგოსლაველ პარტიზანთა გაბედული მოქმედება

ნიუ-იორკი, 18 აგვისტო (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყება, რომ დასავლეთ ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მოქმედი იუგოსლაველი პარტიზანები ამ რამდენიმე დღის წინათ თავს დაესხნენ გერმანელთა, იტალიელთა და პაველიჩის ჯარების გარნიზონებს იუგოსლავიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. პარტიზანებმა დახოცეს ღერძის სახელმწიფოთა ჯარების 2.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდეს დიდძალი სამხედრო მასალა. იმავდროულად პარტიზანთა ძლიერი ჯგუფები თავს დაესხნენ სარაევოს და ბანია-ლუკას ბოსნიაში, აგრეთვე მოსტარს ჰერცეგოვინაში. პარტიზანებმა იერიში მიიტანეს ღერძის სახელმწიფოთა ჯარებზე ლოზნიცის და კრუპანის რაიონში, სერბიის დასავლეთ ნაწილში, საიდანაც გერმანელთა ჯავშანსატანკო ნაწილებმა შუა ივლისს გამოაძევეს პარტიზანთა მთავარი ძალები. ბიხაჩის ახლოს პარტიზანებმა 700 გერმანელი დახოცეს. ამ ბრძოლაში 300 პარტიზანი მოჰკლეს.

ამერიკის ბომბდამშენთა მონაწილეობა საფრანგეთის ოკუპირებულ ზონაზე თავდასხმაში

ლონდონი, 18 აგვისტო (საკდესი). საომარი მოქმედების ევროპის ასპარეზის ამერიკის შეიარაღებულ ძალთა შტაბის და ინგლისის ავიაციის სამინისტროს ცნობაში ნათქვამია, რომ ამერიკის ბომბდამშენი ავიაციის თვითმფრინავები 17 აგვისტოს დღისით გამოჩნდნენ საფრანგეთის ოკუპირებულ ზონაში. ყველა ბომბდამშენი მშვიდობით დაბრუნდა თავის ბაზებში.

ინგლის-გერმანიის საჰაერო ომი

ლონდონი, 18 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 17 აგვისტოს ღამით ინგლისის ავიაცია თავს დაესხა გერმანიას.

17 აგვისტოს, შუაღამისას, გერმანელთა თვითმფრინავების მცირე რიცხვმა გადასჭრა სამხრეთ ინგლისის სანაპირო. ბომბები ჩამოჰყარეს სამხრეთ და დასავლეთ ინგლისის რამდენიმე პუნქტში. ბომბარდირებამ ერთგვარი ზარალი გამოიწვია, არის მსხვერპლი.

საზღვარგარეთ

ჩილის სენატმა მოიწონა წინადადება იმის შესახებ, რომ პროტესტი გაეგზავნოს გერმანიას პარიზსა და კრაკოვში მეცნიერთა დაპატიმრების გამო.

ა. შ. შტატებში ბამბის მოსავალი 1942 წელს 13.085.000 ნაკრაულს შეადგენს, შარშანდელი მოსავალი კი 10.744.000 ნაკრაულს შეადგენდა.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქალაქ თბილისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვისა

1942 წ. 18 აგვისტო | ქ. თბილისი

№ 83

§ 1.

განსაზღვრული რეჟიმის დაცვის მიზნით ა. წ. 19 აგვისტოდან დაწესდეს საღამოს 8 საათიდან დილის 6 საათამდე მორიგეობა ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საცხოვრებელ სახლში, დამოუკიდებლად მათი უწყებრივი კუთვნილებისა.

§ 2.

მორიგეობაში ჩაბმულ იქნან ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქენი: მამაკაცები 16-დან 65 წლამდე ასაკისა და ქალები 18-დან 55 წლამდე ასაკისა, იმ პირთა გამოკლებით, რომლებიც ირიცხებიან:

ა) წითელ არმიაში, სამხედრო-საზღვაო ფლოტში და შინსახკომის ჯარებში;

ბ) რაიონების ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის ფორმირებაში;

გ) გასამხედროებულ საზანძრო დაცვაში და მილიციის ორგანოებში.

საცხოვრებელ სახლებში მორიგეობისაგან განთავისუფლებულ იქნან ის პირები, რომლებიც გათვალისწინებული არიან ქალაქის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბის მიერ გამოცემული სპეციალური დებულებით.

§ 3.

ერთობლივი მორიგეობისათვის რაიონების ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის უფროსებმა გააერთიანონ რამდენიმე სახლი და ამასთან დააწესონ საგუშაგოთა დისლოკაცია.

§ 4.

მორიგეობის შეუფერხებლად ჩატარების ორგანიზაციისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროთ სახლების მმართველებს, საუწყებო სახლების კომენდანტებს და სახლმფლობელებს.

მეთვალყურეობა და კონტროლი ამა ბრძანების ზუსტად და განუხრელად შესრულებაზე ევალებათ რაიონების ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის უფროსებს და წესრიგისა და უშიშროების დაცვის სამსახურის ორგანოებს.

§ 5.

ის პირები, ვინც თავს აარიდებს მორიგეობას, მიცემული იქნებიან სასტიკ პასუხისგებაში.

ქ. თბილისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის უფროსი
მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე კოჩლამაზაშვილი

ქ. თბილისის ადგილობრივი თავდაცვის პარტრწმუნებული
საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ჩერქეზია

ქ. თბილისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბის უფროსი
მაიორი კორძაძე

კონსულტაცია

როგორ დავიცვათ თავი საჰაერო დაბომბვისაგან

ფუგასური და მსხვრევადი ავიაბომბებით ქალაქების საჰაერო დაბომბვის დროს ადამიანებისათვის საფრთხე იქმნება აფეთქების ტალღისაგან, დანგრეული სახლების ნამტვრევებისაგან და თვით ბომბების ნამსხვრევებისაგან.

ამიტომ მტკიცედ უნდა შევიგნოთ, რომ „საჰაერო განგაშის" სიგნალის შემდეგ მოქალაქეთა ქუჩაში უსაქმოდ გაჩერება, საჰაერო ბრძოლისათვის მათ მიერ ცქერა მავნე და მიუტევებელია. ასეთ დროს შეიძლება ისინი სერიოზულად დაშავდნენ აგრეთვე ჩვენივე საზენიტო არტილერიის ყუმბარების ნამსხვრევებისაგან.

როგორც ომის გამოცდილებამ გვიჩვენა, საჰაერო დაბომბვის დროს საიმედო თავშესაფარს წარმოადგენენ სპეციალურად გათხრილი, გადახურული, ვიწრო და ღრმა სანგრები, ეგრეთწოდებული ხვრელები. ხვრელები ადამიანებს იცავენ აფეთქების ტალღისაგან, ავიაბომბების ნამსხვრევებისაგან, დანგრეულ შენობათა ნამტვრევებისაგან და საზენიტო არტილერიის ყუმბარების ნამსხვრევებისაგან, რომლებიც ძირს ცვივა.

თბილისში მოსახლეობამ უკვე საკმაო რაოდენობით გათხარა ასეთი ხვრელები. ეს ხვრელები კარგად არიან აგებული, გადახურული და მოწყობილი, აქვთ კარები, მათში დაცულია სანიმუშო სისუფთავე, ჰყავთ კომენდანტები, რომლებიც ზრუნავენ ხვრელის კარგად მოწყობისა და სისუფთავის დაცვისათვის. გარდა ამისა, თვით მოსახლეობა მუდამ ზრუნავს ამ ხვრელების წესიერი მდგომარეობისათვის.

მაგრამ ქალაქის რაიონებში გათხრილი ზოგიერთი ხვრელი კარგად არ არის მოწყობილი. ამიტომ საჭიროა ყველა ნაკლი სასწრაფოდ გამოვასწოროთ, სანიმუშო მდგომარეობაში ვიქონიოთ ყველა ხვრელი.

ხვრელის ასაგებად საჭიროა უბრალო, ადვილად საშოვნელი მასალა და უმარტივესი იარაღები—ცულები, ნიჩბები, ხერხები, ძალაყინები, რომლებიც მოეპოვება მოქალაქეთა უმრავლესობას. ამიტომ მოსახლეობამ ინიციატივა და ოპერატიულობა უნდა გამოიჩინოს. არ უნდა ველოდოთ, რომ ვინმე გამოგვიგზავნის სამშენებლო მასალას, იარაღს და მუშებს. საჭიროა საკუთარი ძალებით ავაგოთ ხვრელები, რათა დავიცვათ ჩვენი თავი და ჩვენი მახლობლები ფაშისტთა სვავების საჰაერო თავდასხმისაგან.

დიდი ქალაქის პირობებში არ შეიძლება ცხოვრება და მუშაობის ისე მოწყობა, რომ საჰაერო განგაშის სიგნალის დროს მუდამ ერთ ადგილას აღმოვჩნდეთ. სადაც არ უნდა მოგვისწროს საჰაერო თავდასხმამ, უნდა შევინარჩუნოთ სიმშვიდე, არ უნდა დავიბნეთ და თავი შევაფაროთ საიმედო ადგილას.

ამიტომ ყოველმა ჩვენგანმა წინასწარ უნდა დაათვალიეროს და დაიხსომოს, სად მდებარეობენ თავშესაფარები ან ხვრელები იმ რაიონებში, სადაც ჩვენ უფრო ხშირად ვართ ხოლმე—სამსახურის, საცხოვრებელი ადგილის მახლობლად, აგრეთვე სამსახურსა და საცხოვრებელ სახლს შუა მდებარე გზაზე.

პარტიულმა, კომკავშირულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, მთელმა მოსახლეობამ უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს. საჭიროა მომზადებული ხვრელების წესრიგში მოყვანა და სანიმუშოდ მოწყობა, აგრეთვე იქ, სადაც ხვრელები ნაკლები რაოდენობით არის, მათი გათხრა უმოკლეს ვადაში.

ვერაგი მტერი ცდილობს საჰაერო თავდასხმების საშუალებით პანიკა შეჰქმნას ჩვენს მშვიდობიან მოსახლეობაში და ამით დაარღვიოს ჩვენი ზურგის სიმტკიცე. საჭიროა ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ფაშისტი მტაცებლების ამგვარ მზაკვრულ ცდებს, და უვნებელი გავხადოთ მათი ყოველგვარი მოქმედება.

ქ. თბილისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბის უფროსი
მაიორი კორძაძე

სასამართლო

შუქშენიღბვის დამრღვევს—6 წლის პატიმრობა

ბაზალეთის ქუჩაზე № 9-ში ცხოვრობდა რობერტ ალექსანდრეს-ძე მდივანი, რომელიც თელავში მუშაობდა. 14 აგვისტოს მისი ბინის ფანჯრებიდან ოთახიდან შუქი გამოდიოდა.

ამ დღეს იგი დააჯარიმეს. მაგრამ 15 აგვისტოს საღამოს რ. მდივანმა კვლავ დაარღვია შუქშენიღბვის წესები. შუქშენიღბვის ბოროტად დარღვევისათვის რობერტ ალექსანდრეს-ძე მდივანი მიცემულ იქნა პასუხისგებაში.

17 აგვისტოს მისი საქმე განიხილა ორჯონიკიძის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლომ მოსამართლე ივანიძის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების ხუციევას, ზანდუკელის და პროკურორ ხოფერიას მონაწილეობით. ბრალდებულ რობერტ მდივანს სასამართლომ 6 წლის პატიმრობა მიუსაჯა და პატიმრობის მოხდის შემდეგ 3 წლით ჩამორთმევა საარჩევნო ხმის უფლება.

მეორე საკავშირო საზაფხულო პროფკავშირულ-კომკავშირული კროსის შედეგები

საქ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა საორგანიზაციო კომიტეტმა შეაჯამა მეორე საზაფხულო საკავშირო კომკავშირულ-პროფკავშირული კროსის შედეგები. კროსში მონაწილეობა მიიღო სულ 5.427.929 კაცმა, რომელთაგან პროგრამით გათვალისწინებული ნორმები შეასრულა 4.037.308 კაცმა. საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო კომიტეტმა დაამტკიცა საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური პროფკავშირულ-კომკავშირული კროსის შედეგები.

კროსში საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს მოსკოვის, ნოვოსიბირსკის, ყაზახეთის, ჩუვაშეთის, ბაშკირეთის, გორკის, საქართველოს, ომსკის, ჩელიაბინსკის, სვერდლოვსკის, სომხეთის, კიროვის და სხვ. ორგანიზაციებმა, რომელთაც შესძლეს მოსამზადებელ პერიოდში და აგრეთვე კროსის მიმდინარეობის დროს ჩაეტარებინათ დიდი მუშაობა მოსახლეობის ფართო მასების ჩასაბმელად მეორე საზაფხულო პროფკავშირულ-კომკავშირულ კროსში.

საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ ორგანიზაციებს შორის 1942 წლის საზაფხულო კროსში პირველი ადგილი მოიპოვა მოსკოვის ორგანიზაციამ, ხოლო მეორე ადგილი — ნოვოსიბირსკის ორგანიზაციამ.

სულეიმანი

ჰიტლერული გერმანია მეორე ფრონტის საფრთხის წინაშე

ხალხთა სისხლისმღვრელ ომს რომ ამზადებდა, ჰიტლერმა ერთხელ სთქვა: „მე წარსულ შეცდომებს არ გავიმეორებ... ჩემთან 1918 წელი არ გამეორდება... იმიტომ, რომ მე ორ ფრონტზე ომი არ მექნება..." წიგნში „ჩემი ბრძოლა" ჰიტლერი სწერდა: „რატომ წააგო გერმანიამ 1914-1918 წწ. მსოფლიო ომი?.. იმიტომ, რომ გერმანიას არ შეეძლოა მოიგოს ომი ერთდროულად ინგლისისა და რუსეთის წინააღმდეგ...".

როგორც ვხედავთ, კაციჭამია ჰიტლერს ოდესღაც შეგნებული ჰქონდა, რომ ინგლისისა და სსრ კავშირის წინააღმდეგ ერთდროული ომი აუცილებლად გერმანიის განადგურებით უნდა დამთავრდეს. და იგი დაჟინებით არწმუნებდა გერმანელებს, გერმანიის გამარჯვების საწინდარი ის არის, რომ მე, ჰიტლერი, პირველი მსოფლიო ომის დროინდელი გერმანიის ხელმძღვანელთაგან განსხვავებით, ამჯერად არავითარ შემთხვევაში არ ჩავაბამ გერმანიას ორ ფრონტზე ომშიო.

„1918 წელს გერმანიის მოწინააღმდეგეთა გამარჯვება გერმანიის მაშინდელ ხელმძღვანელთა უამრავი შეცდომებისა და განსაკუთრებული უუნარობის შედეგია. ასეთი შეცდომები მომავალში არასოდეს აღარ გამეორდება",—ამას ამბობდა ჰიტლერი უკვე 1941 წ. 8 იანვარს. ხოლო ფაშისტური ბიულეტენი „დინსტ აუს დოიჩლანდი" 1941 წ. 22 თებერვალს არწმუნებდა, რომ ჰიტლერი ლუდენდორფის შეცდომას არ გაიმეორებს და ძალებს რამდენიმე ფრონტს შორის არ დაქსაქსავსო.

მაგრამ ჰიტლერმა მაინც გაიმეორა და უაღრესადაც გააღრმავა თავისი წინამორბედთა შეცდომა. რაკი ვერ შესძლო ელვისებური დარტყმით ინგლისის დამარცხება და ვერც შეუთანხმდა მას (ჰესის საშუალებით), მან ყველაფერი ხასწორზე დასდო და 1941 წ. 22 ივნისს ვერაგულად დაესხა თავს სსრ კავშირს. ამით მან გერმანია მოაქცია ორ მძლავრ მოწინააღმდეგეს შორის. მაგრამ გაკოტრებულ „ფიურერს" ამასთან მაინც ჰქონდა ერთგვარი ავანტიურისტული ვარაუდი. ეს ვარაუდი იმაში მდგომარეობდა, რომ ორ მძლავრ მოწინააღმდეგეს შორის მოქცევის შემდეგაც კი მოეხერხებინა მათი ცალცალკე განადგურება, არ მიეცა მათთვის ღონისძიებათა შეთანხმების საშუალება და ამიგვარად თავიდან აეცილებინა ორ ფრონტზე ომი. რამდენადაც 1941 წელს ინგლისს კიდევ ვერ გამოესწორებინა იმ წარუმატებლობის შედეგები, რაც მან ევროპაში განიცადა საფრანგეთის დამარცხებასთან დაკავშირებით, რამდენადაც ინგლისი მაშინ კიდევ გართული იყო ძალების მოკრებით და, მაშასადამე, კონტინენტზე ფართო მასშტაბის აქტიური ოპერაციების დაწყებისათვის ჯერ კიდევ ძალა არ შესწევდა,—გათავხედებულ ავანტიურისტ ჰიტლერს იმედი ჰქონდა, რომ ელვისებური დარტყმით მოახერხებდა სსრ კავშირის განადგურებას მანამდე, სანამ ინგლისი მზად აღმოჩნდებოდა ევროპის კონტინენტზე მეორე ფრონტის შექმნისათვის. ჰიტლერის ავაზაკური ზანდის მთელი ვერაგობა იმაში მდგომარეობდა, რომ მოესწრო სსრ კავშირთან საქმის მოთავება მანამდე, სანამ ევროპაში მეორე ფრონტი რეალობად იქცეოდა.

სწორედ ამიტომ შარშან ჰიტლერი თავზეხელაღებით აწარმოებდა შემოტევას ჩვენს წინააღმდეგ მაშინაც კი, როდესაც უკვე ცხადი იყო, რომ ზამთრამდე ვეღარ მოახერხებდა ჩვენზე გადამწყვეტი დარტყმის მოხდენას. მიუხედავად თავისი გენერლების გაფრთხილებისა, იგი აწვებოდა მოსკოვს ნოემბერში და დეკემბრის პირველ რიცხვებში. დარტყმა, რომელიც ჩვენმა გმირმა წითელმა არმიამ გასული წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში გერმანელებს მოსკოვთან აგემა, მოასწავებდა შემობრუნებას ომის განვითარებაში, ვინაიდან ეს დარტყმა ნიშნავდა ჰიტლერის მიერ ელვისებურ ომზე დამყარებული იმედის საბოლოო კრახს და ომის გადაქცევას გაჭიანურებულ ომად, რომლის მსვლელობაშიც გარდუვალად უნდა წარმოშობილიყო მეორე ფრონტი ევროპაში. ამხანაგმა სტალინმა თავის 1942 წ. 23 თებერვლის ბრძანებაში სთქვა:

„საკმარისი იყო გერმანელთა არსენალში გამქრალიყო უეცრობის მომენტი და გერმანიის ფაშისტური არმია კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა".

მოსკოვთან განადგურებამ აიძულა ჰიტლერი ძალაუნებურად გადაედო საქმე 1942 წლისათვის. მოსკოვთან გერმანელების განადგურებამ არა მარტო მოგვცა დრო ჩვენში ადამიანთა რესურსებისა და სამხედრო-საწარმოო შესაძლებლობათა უფრო სრული მობილიზაციისათვის, არამედ ჩვენს მოკავშირეებსაც—ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს მისცა ვადები თავისი ძალების მოსამზადებლად.

ინგლისური გაზეთი „რეინოლდს ნიუსი" ამის თაობაზე სწერდა: „ომის პირველი წლის განმავლობაში რუსების თავდაცვამ გადასჭრა თავდაცვის პრობლემა ყველა გაერთიანებულ ერთათვის. ინგლისი განთავისუფლდა მტრის შემოჭრის საფრთხისაგან და თავი დააღწია გამანადგურებელ საჰაერო თავდასხმებს. შეერთებულმა შტატებმა კი მოიგეს დრო სამხედრო წარმოების სრული განვითარებისა და თავის შეიარაღებულ ძალთა გაშლისათვის. რუსების თავდაცვამ შეუქმნა დემოკრატიულ სახელმწიფოებს შეტევის შესაძლებლობა. შეტევა ყველა მოკავშირეთა საერთო ამოცანაა".

ამრიგად, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის ერთი წლის შემდეგად, წითელი არმიის გმირული თავდაცვის მეოხებით, ანტიჰიტლერული ბლოკის საერთო ძალები ძლიერ გაიზარდა, და ჰიტლერული გერმანია ახლა უშუალოდ დადგა მეორე ფრონტის რეალური საფრთხის წინაშე. სხვანაირად რომ ვთქვათ, „ბლიცკრიგის" ჩაშლამ გერმანიის მოწინააღმდეგეებს მისცა დრო გაძლიერებისათვის, გერმანია კი მიიყვანა 3 დიდი სახელმწიფოს მძლავრ კოალიციად გაერთიანებულ თავის მოწინააღმდეგეთა წინააღმდეგ ერთდროული ომის ეტაპთან. ორ ფრონტზე დამღუპველი ომის კოშმარი თავს დასტრიალებს გერმანიას 1942 წელს. სრულდება ამხანაგ სტალინის წინასწარგანჭვრეტა ევროპის კონტინენტზე მეორე ფრონტის შექმნის გარდუვალობის შესახებ. და გერმანიის ფაშიზმი, რომელიც ყველა თავისი იმედის საბოლოო კატასტროფის წინაშე დგას, სასოწარკვეთილებისაგან მიმართავს გაფთრებულ ღონისძიებებს, რომ თავი გადაირჩინოს.

ამიტომ, 1941 წ. დეკემბერში მოსკოვთან მტერი რომ შევაჩერეთ და ამის შემდეგ ჩვენი არმიის იერიშებით უკან დავახეთქეთ, ჰიტლერმა მაშინვე ყველა ღონისძიებას მიმართა, რათა 1942 წლისათვის თავი დაეზღვია მეორე ფრონტისაგან. ამ მხრივ თავისი იმედები მან დაამყარა იაპონიაზე, რომელმაც ამ დროისათვის, ე. ი. მოსკოვთან ჰიტლერელთა ურდოების დამარცხების მომენტისათვის, მოახდინა თავდასხმა ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებზე. ეს მოხდა 1941 წლის 7 დეკემბერს.

გერმანიის ფაშიზმის ვარაუდი იმას ეყრდნობოდა, რომ იაპონიის ძლიერი დარტყმა ინგლისის შორეული აღმოსავლეთის არასაკმაოდ დაცულ პოზიციებზე, ის საფრთხე, რაც შეიქმნა სინგაპურისათვის, ინდოეთისათვის და ინგლისის სხვა სამფლობელოებისათვის, აიძულებდა ინგლისს აუცილებლობის გამო მთელი ძალებით დაეცვა თავისი ეს პოზიციები. ჰიტლერს იმედი ჰქონდა, რომ ამრიგად ზამთარში ომის სიმძიმის ცენტრი ინგლისისათვის ევროპიდან წყნარი ოკეანის აუზში გადაინაცვლებდა და მის მიერ ევროპაში მომავალი აქტიური მოქმედებისათვის დაგროვილი ძალები გადაყვანილი იქნებოდა შორეულ აღმოსავლეთში. ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები—ფიქრობდნენ ფაშისტი ბანდიტები—ზამთრის განმავლობაში ისე ჩაეფლობიან წყნარ ოკეანეში, რომ საეჭვოა საფრთხე შეუქმნან გერმანიას ევროპაში 1942 წელსო.

მაგრამ ჰიტლერის ეს ზამთრის იმედები არ გამართლდა. მართალია, იაპონელმა აგრესორმა ზამთრის განმავლობაში ფრიად ბევრი რამ დაიპყრო, მაგრამ ჰიტლერის ძირითადი ვარაუდი მაინც ჩაიშალა, ვინაიდან ინგლისმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავისი ძალები მთლიანად როდი წარმართეს შორეულ აღმოსავლეთში. ბრიტანეთის კუნძულებზე ზამთრის განმავლობაში სწარმოებდა მოკავშირეთა ძალების დაგროვება და გაზაფხულისათვის ჰიტლერი იძულებული იყო სერიოზულად ეფიქრებინა თვისი დასავლეთისათვის, ვინაიდან აქ შეიქმნა მეორე ფრონტის მატერიალური წინაპირობები. ხოლო როდესაც 1942 წ. მაისის დამლევს—ივნისის დამდეგს ერთის მხრივ სსრ კავშირსა და მეორე მხრივ ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მიღწეულ იქნა „სრული თანხმობა 1942 წელს ევროპაში მეორე ფრონტის შექმნის გადაუდებელი ამოცანების შესახებ", ეს განმანადგურებელი ლახვარი აღმოჩნდა ფაშისტ ავანტიურისტთა იმ იმედებისათვის, რომ თავს დააღწევდნენ მეორე ფრონტის გაჩენას. მეორე ფრონტის კოშმარი თავს დააწვა გერმანიას უკვე როგორც სავსებით რეალური საფრთხე.

ფაშისტმა ყაჩაღებმა, რომლებსაც თავისი ანგარიშები ჩაეფუშათ და ასეთი საშიში პერსპექტივის წინაშე აღმოჩნდნენ, მიმართეს მორიგ სასოწარკვეთილ ცდას, რათა თავიდან აეცილებინათ მათთვის შექმნილი საფრთხე. ივნისის დამლევს მეტად ძნელ პირობებში გენერალ რომმელის ჩრდილოეთ აფრიკის არმია ლიბიიდან ეგვიპტეში შეიჭრა იმ აშკარა განზრახვით, რომ სუეცის არხისაკენ გაჭრილიყო. ჰიტლერს ალბათ იმედი ჰქონდა, რომ ელვისებური ტემპებით მიაღწევდა არაბეთის (პალესტინა, ტრანსიორდანია, სირია, ერაყი) კარიბჭემდე, მოაწყობდა იქ აჯანყებას ინგლისელების წინააღმდეგ (შარშან თავისი აგენტურის საშუალებით მან უკვე სცადა ამის გაკეთება), ზურგიდან შემოუვლიდა თურქეთს და ირანზე გაივლით დასავლეთიდან მიადგებოდა ინდოეთს იმ დროს, როდესაც ინდოეთის აღმოსავლეთ ბჭესთან იაპონია დგას.

ამრიგად, რაკი ზამთარში ვერ მოახერხა ინგლისის ყურადღების მთლიანად მიპყრობა შორეულ აღმოსავლეთზე, ჰიტლერმა ზაფხულის დამდეგს სცადა მისი ყურადღება მიეპყრო ახლო აღმოსავლეთზე, რათა ამ გზით თავიდან აეცილებინა მეორე ფრონტის საფრთხე სსრ კავშირზე შეტევის დროისათვის. მაგრამ ის ფაქტი, რომ ბრიტანეთის ძალებმა მოახერხეს რომმელის წინსვლის შეჩერება, ჰიტლერის ამ ვარაუდის ჩაფუშვასაც ნიშნავს.

მაშინ ჰიტლერი სასოწარკვეთილად მოაწყდა ჩვენს ფრონტს. მან დაიწყო გაფთრებული შემოტევა ვორონეჟზე და სამხრეთში. მის განკარგულებაში დარჩენილი ვადები მცირეა, თავგზააბნეული ფაშისტი ყაჩაღები მიმართავენ სასოწარკვეთილ ცდებს — გამოიყენონ ეს შეზღუდული ვადები, სანამ ორი ფრონტის რკინის მარწუხში არ მომწყვდეულან. „ევროპაში მეორე ფრონტის შექმნის საფრთხე,—სწერდა „პრავდა" 20 ივნისს,—აიძულებს ჰიტლერს ეცადოს სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის ბედის რაც შეიძლება დაჩქარებით გადაწყვეტას". გერმანელთა 377-ე ქვეითი დივიზიის ტყვედ წამოყვანილმა ჯარისკაცმა თეოდორ კრამერმა დაკითხვისას განაცხადა: „ოფიცრებმა განგვიმარტეს, რომ გერმანიამ დრო უნდა მოიგოს, ანგარიში არ უნდა გაუწიოს დასავლეთში პოზიციების შესუსტებას და აღმოსავლეთისაკენ მიაყაროს ჯარებიო".

სწორედ ასე დგას ამჟამად საკითხი ფაშისტური გერმანიისათვის. ფაშისტი მხეცი გრძნობს მოახლოებულ კატასტროფას და აქეთ-იქით აწყდება: „თითოეული ადამიანი გრძნობს,—სწერს „მილიტერიში კორესპონდენც აუს დოიჩლანდი",—რომ ახლანდელი ბრძოლები მომავალ ლაშქრობათა მომზადება კი არ არის. ეს არის გადამწყვეტი ნაბიჯები, რომლებიც მიგვიყვანენ ან გამარჯვებამდე, ან დამარცხებამდე".

ფაშისტური გერმანია უფრო სუსტი გახდა, ვიდრე იგი 1941 წელს იყო, მაგრამ მტერი ჯერ კიდევ ძლიერია. მეორე ფრონტი ჯერ კიდევ არ არის გახსნილი, მაგრამ მისი დრო სწრაფად ახლოვდება, და ჰიტლერი მთელი ძალების დაძაბვით მოისწრაფვის ჩვენი პურისაკენ, ჩვენი ნავთისაკენ, იგი ყველა საშუალებით ცდილობს მოახდინოს ჩვენი ძალების დეზორგანიზაცია, რათა მიიღოს იმის შესაძლებლობა, რომ თვითონ გასძლოს.

ამჟამად მტერმა სერიოზული საფრთხე შეუქმნა ჩვენს სამშობლოს. მაგრამ საბჭოთა ხალხს უკვე არა ერთი მძიმე განსაცდელი გადაუტანია, მან ისწავლა გაბედულად გაუსწოროს თვალი სიძნელეებს და მთელი თავისი ძალების დაძაბვით გადალახოს ისინი. თავისი დიდი ბელადისა და მხედართმთავრის, გენიალური სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა ჩაფუშა მტრის ყოველი ცდა—გატეხა სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერება. ამჯერადაც, მიუხედავად ყველა სიძნელისა, საბჭოთა ხალხმა და მისმა სახელოვანმა წითელმა არმიამ უნდა გადაულობონ და კიდევაც გადაულობავენ გზას მტერს, უნდა ჩაუფუშონ მას დროის მოგებაზე ნავარაუდევი გეგმები და გაანადგურონ ჰიტლერელი მტარვალები.

ჯერ კიდევ 1941 წ. 6 ნოემბერს ამხანაგმა სტალინმა წინასწარ განსჭვრიტა, რომ გარდუვალია მეორე ფრონტის გაჩენა ევროპის კონტინენტზე. ეს დრო ახლოვდება. მტერი მიმართავს სასოწარკვეთილ ცდებს, — თავიდან აიცილოს ეს საფრთხე. მაგრამ ეს ცდები მარცხით დამთავრდება, როგორც მარცხით დამთავრდა ყველა მისი წინანდელი ცდა ამ მიმართულებით. უკვე შექმნილია მატერიალური წინაპირობები ანტიჰიტლერულ ბლოკში გაერთიანებული სახელმწიფოების ერთობლივი ღონისძიებებით კაცობრიობის მოსისხლე მტრის — ფაშისტ მტარვალთა საბოლოო განადგურებისათვის 1942 წელს.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომი აცხადებს, რომ საქ. კ. პ. (ბ) წევრობის საკანდიდატო ბარათი № 3091144, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის მიერ გიორგი ლავრენტის-ძე წულაიას სახელზე, და საკანდიდატო ბარათი № 3087615, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის მიერ გერონტი ოქროპირის-ძე თავაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „მუსიკალური ისტორია". ოქტომბერი — „ანინკა". დამკვრელი — „კინოკონცერტი". კომკავშირელი — „ჭექა-ქუხილი". ლუქსემბურგის სახ. — „მტკიცე ხასიათის ქალიშვილი" სპარტაკი — „წითელი ეშმაკუნები". კომინტერნი — „უმზითვო პატარძალი". 26 კომ. სახ. — „საბრძოლო კინოკრებული № 5".

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე გ. ჯიბლაძე

საქ. მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის დოცენტ დ. დ. მელაძის სიდედრის

ნინო (შოლია) ებრალიძე-ცაგარეიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ლანჩხუთში, 20/VIII. 1036

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები იუწყებიან დოცენტ

გრიგოლ გიორგის-ძე გრიგოლაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 20/VIII, 6 ს. გამოსვენება ლენინის ქ. № 6. 1032

თბილისის 47-ე საშუალო სკოლა და დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის მოლოტოვის სახელობის რაიკომი იუწყებიან ამავე სკოლის მასწავლებლის კ. ო. თევზაძის დის

ევგენია ონისიმეს-ასულ თევზაძე-კაჯელაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 19/VIII, 7 ს. გამოსვენება 20/VIII, 6 ს. სანდროს ქ. № 143-ა. 1034

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 7981